PEMPAL-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენცია თბილისში

მიმდინარე წლის 10-12 თებერვალს ქ.თბილისში, სასტუმრო Courtyard Marriott-ში, მსოფლიო ბანკის ორგანიზებით, PEMPAL-ის პროგრამის (Public Expenditure Management Peer Assisted Learning) ფარგლებში, ტარდება საერთაშორისო სემინარი თემაზე: „საჯარო სექტორის აღრიცხვა და ანგარიშგება“. კონფერენციაზე საქართველოს მხარეს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. ღონისძიებაში მონაწილეობენ სახელმწიფო ხაზინების ხელმძღვანელები და საფინანსო სფეროს სხვა წარმომადგენლები ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის 15 ქვეყნიდან.

10 თებერვალს კონფერენცია გახსნა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, რომელმაც ისაუბრა სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროში საქართველოს მიერ განხორციელებულ პროექტებზე, ასევე დონორი ორგანიზაციების როლზე, კონკრეტულად PEMPAL-ის პროგრამის მნიშვნელობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით.

„მნიშვნელოვანია, რომ თბილისი მასპინძლობს PEMPAL-ის კონფერენციას, რომელიც საჯარო ფინანსების მართვის სფეროში სამი მიმართულებით მუშაობს. კერძოდ, ბიუჯეტის, ხაზინის და ბუღალტრული აუდიტის, ასევე შიდა აუდიტის მიმართულებით. აღნიშნული საერთაშორისო კონფერენცია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს ეძღვნება. ჩვენ გავუზიარებთ გამოცდილებას და იმედია, მივიღებთ საინტერესო შენიშვნებს, რაც ხელს შეუწყობს საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფას", - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

„ჩვენ მოხარულები ვართ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოწვევით კიდევ ერთხელ მოგვეცა შესაძლებლობა ჩამოვსულიყავით საქართველოში. პროგრამა PEMPAL-ი მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორების მხარდაჭერით ფინანსდება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩვენ 2 წლის წინ ვიმყოფებოდით თბილისში და გავეცანით იმ რეფორმებს, რომელიც სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროში გატარდა საქართველოში. ახლაც იმედი გვაქვს, რომ კონფერენციის მიმდინარეობისას, ერთმანეთს გავუზიარებთ გამოცდილებას და ცოდნას, მოვისმენთ ინფორმაციას ამ დროისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში მიმდინარე რეფორმების შესახებ”, - აღნიშნა მსოფლიო ბანკში პროგრამა PEMPAL-ის ხელმძღვანელმა ელენა ნიკულინამ.

„პროგრამა PEMPAL-ი ჩვენ გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას ერთმანეთს დაუკავშირდნენ სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროში მოღვაწე პროფესიონალები. მოხარულები ვართ, რომ შემოგვთავაზეთ სემინარი საქართველოში გამართულიყო, ქვეყანაში, სადაც მნიშვნელოვანი რეფორები გატარდა სახელმწიფო ფინანსების მართვის კუთხით. სასიხარულოა, რომ ჩვენი ქვეყნები,

რომლებიც სახელწმიფო ფინანსების მართვის სფეროში რეფორმირების ეტაპზე იმყოფებიდან, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ცოდნას, პრობლემებს, იმისათვის, რათა ეს რეფორმები წარმატებით დაინერგოს ჩვენს ქვეყნებში," - განაცხადა პროგრამა PEMPAL-ის პრაქტიკოს ხაზინადართა საზოგადოების (TCoP) აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ანჟელა ვორონინმა.

კონფერენციის ფარგლებში სტუმრები გაეცნობიან საქართველოში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, აგრეთვე, ზოგადად, სახელმწიფო ფინანსების მართვის კუთხით მიმდინარე რეფორმებს. PEMPAL-ის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო ექსპერტების მიერ წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ქვეყანებში არსებული საჯარო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგების საუკეთესო პრაქტიკა. პრეზენტაციებთან ერთად ღონისძიების ფორმატი ითვალისწინებს მცირე თემატური ჯგუფების შეხვედრებს ისეთ თემებზე, როგორიცაა: საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, საჯარო აქტივების აღრიცხვა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. სემინარი მონაწილეებს საშუალებას მისცემს, გაუზიარონ ერთმანეთს საჯარო ფინანსების მართვის კუთხით საკუთარ ქვეყნებში არსებული გამოცდილება.

კონფერენციის გამართვის ხარჯები სრულად იფარება PEMPAL-ის პროგრამის ბიუჯეტიდან.

საქართველოს მხარემ სახელმწიფო ხაზინისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყო სტუმრების გასეირნება ატრაქციონ ფუნიკულიორით (ტრამვაით) და ერთი ოფიციალური სადილი რესტორან „ფუნიკულიორში". ასევე, სახელმწიფო ხაზინისაგან ყველა სტუმარს გადაეცა სიმბოლური საჩუქარი - ერთი ბოთლი ქართული ღვინო „საფერავი". აღნიშნული ღონისძიებისთვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა სულ 4898.64 ლარი.

PEMPAL-ი (**Public Expenditure Management Peer Assisted Learning**) პროგრამა დააფუძნა მსოფლიო ბანკმა 2005 წელს. პროგრამის მიზანია სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროში დასაქმებულ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების გზით. პროგრამა აერთიანებს ცენტრალური აზიისა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 21 ქვეყნის წარმომადგენლებს.